ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N GF-T-H/SSP/S - 837

ქ. თბილისი 03 თებერვალი 2021 წელი

1. ხელშეკრულებისდამდებიმხარეები

1.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები არიან: ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" - ს/კ 211324351 (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის/გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორის, ირმა ხონელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს "ლ.მ.ვ." ს/კ 405132075 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ ჩომახიძის სახით.

2. ხელშეკრულებისობიექტი და გაფორმების საფუძველი.

2.1. ხელშეკრულების ობიექტია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული („ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა" და „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა") პროგრამების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების: CPV50112300 - მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებების შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია „სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება.

3. შესყიდვის საგანი

3.1. შესყიდვის საგანია „შემსყიდველის" მფლობელობაში არსებული ავტომანქანების (SUZUKI S-Cross, (სახელმწიფო სარეგისტარაციო #BU771BB); HYUNDAY IX35 (სახელმწიფო სარეგისტრაციო #MM369VV) და RENAULT DUSTER (სახელმწიფო სარეგისტრაციო #QQ265DQ)) რეცხვისა და სალონის ქიმწმენდის მომსახურება, ხელშეკრულების დანართი N1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების ღირებულება

4.1 **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 990.00 (ცხრაასოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

4.2. მომსახურების რაოდენობისა და ერთეულის ფასების შესახებ ინფორმაცია მითითებულია ამ ხელშეკრულების დანართი #1-ში (ფასების ცხრილი).

4.3. ერთეულის ღირებულება მოიცავს მოსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4.4. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ,,აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამები (TB 8 NHP და HIV15 NHP; „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა" და „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა").

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანებისათვის განკუთვნილი რეცხვის ტალონები.

5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.3. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) საათის განმავლობაში.

5.4. მოთხოვნა ხორციელდება სატელეფონო კავშირის საშუალებით, ამ ხელშეკრულების დანართი N2-ში (ავტოსამრეცხაოს მისამართები) მითითებულ ავტოსამრეცხაოების საკონტაქტო ნომრებზე.
5.5. ავტომანქანების რეცხვა/დასუფთავება უნდა მოხდეს სპეციალური სარეცხი აგრეგატების, მტვერსასრუტის და ავტომანქანის მაღალი ხარისხის სარეცხი და საწმენდი საშუალებებით.
5.6. სამრეცხაო ობიექტებზე მომსახურება შესაძლებელი უნდა იყოს ყოველდღე (ორშაბათიდან კვირის ჩათვლით) 24 საათის განმავლობაში.
5.7. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ავტომობილების რეცხვას როგორც გარედან, ისე ავტომობილის შიდა მხრიდან (სალონი, საბარგული). რეცხვა მოხდება ხელით სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით. რეცხვის შემდეგ უნდა მოხდეს ავტომანქანის გაშრობა.
5.8. მომსახურების გაწევის დროს, მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტომობილზე მიყენებული ნებისმიერი ზიანის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.9. მომსახურება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების დანართი N2 (ავტოსამრეცხაოს მისამართები) მითითებულ ავტოსამრეცხაოებში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ამ ხელშეკრულების მე-15 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი (უფლებამოსილი) პირი.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მომწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორების პირობები
7.1. ანგარიმსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად;
7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3. ანგარიშწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა ვალდებულებები
8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
8.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მფლობელობაში არსებული ავტოსატრანპორტო საშუალებების რეცხვა, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლებები
9.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
9.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
9.2.1.მოსთხოვოს შემსრულებელს ინფორმაცია, გაწეული მომსახურების შესახებ.
9.2.2. განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

14.1. ხელშეკრულებით განსაზვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარე ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით.

14.4. ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს თანხის ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.5. მხარე ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

15. ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე გამოყოფილი პასუხილმგებელი პირი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 3 მარტის ჩათვლით.

17. დამატებითი პირობები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ “ლ. საყვარელიძისსახ. დაავადებათაკოტროლისადა საზოგადოებრივიჯანმრთელობის ეროვნულიცენტრი”	შპს “ლ.მ.ვ.”
	იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, სანდრო ეულის N5ა ბ.7
ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი ქ. №99	
ს/კ 211324351	
	საიდენტიფიკაციო კოდი: 405132075
	ელექტრონული ფოსტა: merab.chxaidze68@gmail.com
	ტელეფონი სნომერი (+995) 599883280
	სს „თი ბი სიბანკი“
	ბანკისკოდი: TBCBGE22
	ა/ა GE96TB7343636080100004
სახელმწიფოხაზინა	
ბ/კ TRESGE22	
ა/ა GE24NB0330100200165022	
ირმა ხონელიძე	მერაბი ჩომახიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე/გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორი	დირექტორი

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2021.02.03 15:44:04 +04'00'

დანართი **N1**

ფასების ცხრილი

№	ავტომანქანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
	1	3	4	5
1	ავტომანქანის გარედან და შიგნიდან (სალონი, საბარგული) რეცხვა	42	15,00	**630,00**
2	ავტომანქანის ქიმწმენდა	6	60,00	**360,00**
	სულ ჯამი:			**990,00**
	დღგ.			**-**
	სულ:			**990,00**

რეცხვისა და ქიმწმენდის რაოდენობა თითოეული ავტომანქანისთვის

№	ავტომანქანა	რაოდენობა	
		რეცხვა	ქიმწმენდა
	1	2	3
1	**SUZUKI S-Cross** (სახელმწიფო სარეგისტარაციო #BU771BB)	18	2
2	**HYUNDAY IX35** (სახელმწიფო სარეგისტრაციო #MM369VV)	12	2
3	**RENAULT DUSTER** (სახელმწიფო სარეგისტრაციო #QQ265DQ)	12	2

ავტოსამრეცხაოს მისამართები

№	მ ი ს ა მ ა რ თ ე ბ ი	მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ური რ ა ი ო ნ ი	ბ ო ქ ს ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ობ ა	ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო ნ ომ რ ე ბ ი
1	ქ.თბილისი ხელმმარის და შენგელიას კვეთა კარფურის უკან	გლდანის რაიონი	10 ბოქსი (კაფე მოსაცდელი)	T: 551117520
2	ქ.ქუთაისი 9აპრილის ქ.№ 2ა	ქუთაისი	ბოქსი 9კაფე 6 მოსაცდელით)	T: 595772377
3	ქ .თბ ი ლ ი ს ი პ .ქ ა ვ თ ა რ ა ზ ი ს ქ .№19	ს ა ბ ურთ ა ლ ს ს რ ა ი ო ნ ი	8 ბ ო ქ ს ი (კ ა ფ ე მ ოს ა ც დ ე ლ ი) 24/24	T:599885573
4	ქ . თბ ი ლ ი ს ი ბ ე რ ი ს ა ლ ოს ი ს ქ .№181	ი ს ნ ი ს რ ა ი ო ნ ი	4 ბ ო ქ ს ი (კ ა ფ ე მ ოს ა ც დ ე ლ ი) 08:20/ს თ	T: 599539358
5	ქ . თბ ი ლ ი ს ი ე რ თ ი ა ნ მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა ქ .№44	ს ა მ გ ო რ ი ს რ ა ი ო ნ ი	4 ბ ო ქ ს ი	T: 599539358
6	ქ . თბ ი ლ ი ს ი ო რ ხ ე ვ ი ს და ს ა ხ ლ უ ბ ა ჯ ურ ნ ა ლ ი ს ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს მ /ტ	ს ა მ გ ო რ ი ს რ ა ი ო ნ ი	4 ბ ო ქ ს ი (კ ა ფ ე მ ოს ა ც დ ე ლ ი)	T: 598307716